მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მონუმენტური ქანდაკების დილემა

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი ხათუნა ციხელაშვილი

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებელ ქვეყანაში პარლამენტის ფუნქციას, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე, დამფუძნებელი კრება ასრულებდა. დამფუძნებელი კრების ხელმძღვანელობით საჭიროებიდან გამომდინარე კომისიები დგებოდა, რომელთაც კონკრეტული საკითხების მოგვარება ევალებოდათ. ოკუპაციამდე მოქმედებდა ხელოვნების კომისია. ხელოვნების კომისიის საარქივო მასალებში შემონახულია 1920 წლის სხდომის ჩანაწერი, რომელიც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ძეგლის ადგილიდან მოხსნას შეეხება. მსჯელობისას კომისია დილემის წინაშე აღმოჩნდა. წევრთა ნაწილი ძეგლის აღებას ემხრობოდა, ნაწილი კი - სკულპტურის ადგილზე დატოვებას. დისკუსიის ძირითად თემას ვორონცოვის პოლიტიკა, ქანდაკების ისტორიული და მხატვრული როლის დაპირისპირება, კულტურული მემკვიდრეობისა და ვანდალიზმის, მონუმენტური ქანდაკების თავდაპირველი და შეცვლილი ვითარების კონტექსტი წარმოადგენდა.

დავალების პირობა:

1. გაეცანით საარქივო დოკუმენტიდან კომისიის წევრთა მოსაზრებებს და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ საკითხებზე.

2. ხელოვნების კომისია ეთიკური დილემის წინაშე დგას. მოცემულ ოთხ საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ ჩამოაყალიბეთ პოზიცია, იმაზე, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო კომისიას.

1920 წელი, თებერვლის 18[1]

ექვთიმე თაყაიშვილი: სამარცხვინო იქნება ჩვენი რესპუბლიკისთვის თუ ვორონცოვის ძეგლს ავიღებთ, რადგან ის ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. ნიჭის გამოხატულება. ჩვენთვის მისი პიროვნება ლიტერატურისა და თეატრის დასაწყისის მომაგონებელია და არა ცარიზმისა. ბოლშევიკებმა ასეთი ძეგლები არსად მოხსნეს. თანახმა ვარ საბურთალოზე ჯვრის აღებისა, მაგრამ ვორონცოვის ძეგლის აღება ვანდალიზმი იქნება.

პეტრე გელეიშვილი: ვორონცოვი ჭკვიანი კაცი იყო. რუსეთში ინგლისურ პოლიტიკას ატარებდა. ჩვენთვის კი დიდად მავნებელი და დამღუპველი გამოდგა. მისი ძეგლის მოხსნა სრულებითაც არ არის სასირცხვილო. მოედნები ცოტა გვაქვს, საძეგლოები კი ბევრი გვყვანან...

სამსონ ფირცხალავა: ძეგლი უნდა ავიღოთ. აქ არც კულტურა და არც ხელოვნება არ იჩაგრება. უნდა ამოვშალოთ ხალხის გულიდან მჩაგვრელი რუსეთის სული.

პავლე საყვარელიძე: ისტორიული პირობანი ცვალებადია. პარიზში ყველა ეპოქის ნაშთებია დაცული. თუ ჩვენ დღეიდან ასე მოვიქცევით ისტორიული ნაშთები აღარ გვექნება. ეპოქის ამოშლა არ შეიძლება. ერეკლე მეფის ძეგლი რომ იყოს ან დიმიტრი ყიფიანისა, ხომ არ მოვხსნიდით?! დაე, იყოს დამპყრობლის ძეგლიც, ესთეტიკურად თუ დასაშვებია, ისტორიულადაც დასაშვებია. ბედნიერი ერი არის ის, რომელიც ისტორიულ ძეგლებსაც დასცქერის. პროგრესი არ სპობს წარსულთა ძეგლებს. სავსეა ძეგლებით რომი, პარიზი, ბერლინი და ა.შ. მე, არა მარტო თანამედროვეობის მწამს, არამედ წარსულისაც. კულტურული ხალხი შურისძიებით წინ არ მიდის.

ივანე გომართელი: შეუძლებელია მეფე ერეკლესა და ვორონცოვის ძეგლების შედარება. უმთავრესად, ვორონცოვი თვითმპყრობლის მსახური იყო და არა ხელოვნების.

ვლასა მგელაძე: აქ არის ფსიქოლოგიური მომენტი. გარდამავალ ხანაში ვართ და ვორონცოვის ძეგლი უნდა ავიღოთ.

შემოდის წინადადება, კამათი გაგრძელდეს შემდეგ სხდომაზე.

[1]წყარო ადაპტირებულია მოსწავლეებისთვის. ტექსტის ორიგინალური ვერსია იხილეთ: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, დამფუძნებელი კრების საქმე, დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის ჟურნალი, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1001, ფურცელი 12

სამუშაო ფურცლები

იმსჯელეთ:

საკითხი N 1: ეპოქის კონტექსტი

1. დანართის მიხედვით, მოკლედ დაახასიათეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიულ-სოციალური ვითარება.

2. იმსჯელეთ ისტორიული ვითარების შესახებ, რომელიც საქართველოში 1918 წლის 26 მაისის შემდეგ დადგა.

3. რა მნიშვნელობა მიანიჭა თავდაპირველმა და შეცვლილმა ისტორიულმა კონტექსტმა ქანდაკებას?

4. თქვენი აზრით, რომელი ეპოქის კონტექსტი უნდა გაეთვალისწინებინა კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას?

საკითხი N2: ქანდაკების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი

1. გაიხსენეთ მონუმენტური ქანდაკების დანიშნულება. ამავე კონტექსტში იმსჯელეთ მეფისნაცვლის ძეგლის შესახებ.

2. პრეზენტაციის დახმარებით აღწერეთ ქანდაკება.

3. პრეზენტაციის დახმარებით იმსჯელეთ ქანდაკების გამომსახველობით საშუალებებზე (ფიგურის დაყენების თავისებურება, პროპორცია, მოცულობა, პოზა, ჟესტი, ფაქტურა, დრაპირება, პოსტამენტის სიმაღლე, ქანდაკების გარემოსთან მიმართება, მაყურებლის ხედვის წერტილი).

4. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხის გათვალისწინებით, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ქანდაკებამ?

საკითხი N 3: კულტურული მემკვიდრეობა

1. რატომ შეიძლება განიხილავდეს კომისიის ზოგიერთი წევრი ქანდაკებას კულტურულ მემკვიდრეობად?

2. შეიძლება თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში, მონუმენტური ქანდაკების დემონტაჟის ვანდალიზმად განხილვა?

3. ქანდაკების მოხსნის შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა მისი დაცვა?

4. შესაძლებელი რომ იყოს, რა ინფორმაციას დაამატებდით იმისთვის, რომ კომისია ჩამოყალიბებულიყო საკითხზე - წარმოადგენდა თუ არა ძეგლი კულტურულ მემკვიდრეობას?

საკითხი N4: მეფისნაცვალი და ქანდაკება

1. საზოგადოების დიდი ნაწილი მეფისნაცვალ ვორონცოვს ქართული კულტურის მოამაგედ მიიჩნევდა. ამის ფონზე, როგორ შეაფასებდით ხელოვნების კომისიის იმ წევრების პოზიციას, რომლებიც ძეგლის მოხსნას მოითხოვდნენ?

2. შეიძლება თუ არა მონუმენტური ქანდაკება, როგორც ხელოვნების ნიმუში, ასახული პიროვნებისგან დამოუკიდებლად განიხილებოდეს? რატომ?

3. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა პოლიტიკის, ისტორიული კონტექსტისა და ხელოვნების ერთმანეთისგან გამიჯვნა? რატომ?

4. როგორ ფიქრობთ, დღეს რა კონტექსტს იძენს პოლიტიკური ფიგურებისთვის ძეგლების მიძღვნა? მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით.

დანართი

ვორონცოვის ძეგლის კურთხევა[1]

1867 წელს 25 მარტს თბილისში გენერალ-ფელდმარშლის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის ძეგლს აკურთხებენ. წირვის შემდეგ ქაშვეთის საყდრიდან საზოგადოება გოლოვინის პროსპექტისკენ დაიძვრება და კუკიის ხიდისკენ წავა. ამ ხიდის თავში, კუკიის მხრიდან, ძეგლია აღმართული. მსვლელობის დროს დამწკრივდებიან ამგვარად: ჯერ წავა პლაცმაიორი ცხენით, მას უკან - ცხენოსანი ჟანდარმები. მათ მიჰყვება ჯარი. შემდეგ თბილისის საიუნკრო სასწავლებლის რაზმი, თბილისის სასწავლებლის ყმაწვილები, ამქრის ბაირაღები, სამსახურიდან გამოსული დაბალი ჩინის კაცები, რომლებიც ვორონცოვის დროს მსახურობდნენ, მახლობელი სოფლების მამასახლისები და მსაჯულები, ერევნის პოლკის რაზმი თავისი ბაირაღით, თბილისის საპატიო მოქალაქენი, ქალაქის ამორჩეული თანამდებობის პირნი, ქალაქის თავი გამგე-მმართველობის წევრებით, თბილისის გუბერნიის მარშალი, შტაბ-ოფიცრები და სხვადასხვა უწყების მოსამსახურეები. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი, მაჰმადიანი სასულიერო წოდება, პურინსკის პოლკის მეთაური ოფიცრებით და დაბალი ჩინის კაცებით, მართლმადიდებელი სარწმუნოების სამღვდელოება, საქართველოს ეგზარქოსი, დიდი მთავარი კავკასიის მეფისნაცვალი, გენერალიტეტი, სხვადასხვა დეპარტამენტის დირექტორები, უცხო ქვეყნის ელჩები, საპერის ბატალიონის რაზმი. დიდი მთავრის მეუღლე, ოლღა თეოდერეს ასული, შვილებით მობრძანდება და მოთავსდება პავილიონში, რომელიც ძეგლის მარჯვნივ იქნება განთავსებული. თბილისის სასწავლებლების მოსწავლე ქალები პავილიონის ქვემოთ დადგებიან, სხვა ქალები კი მარცხნივ. მსვლელობის ყველა მონაწილე ძეგლის გარშემო თავის ადგილს დაიკავებს.

ჯერ წაიკითხავენ ძეგლის აღმართვის შესახებ აქტს, მერე ძეგლს გადახდიან ზეწარს, რომელიც აქვს ჩამოფარებული. ამას შემდეგ დაიწყება ძეგლის კურთხევა, რომელიც ვორონცოვისთვის „საუკუნო ხსენებით“ დასრულდება. კურთხევის შემდეგ სასულიერო წოდება იმავე წესით დაბრუნდება უკან და ძეგლის წინ მარშით გაივლის.

[1] ტექსტი ადაპტირებულია მოსწავლეებისთვის. იხ. სტატიის ორიგინალური ვერსია: გაზეთი „დროება“, *1867* წ. *N12* გვ. *1-2.*

ლექსიკონი[1]:

გენერალ-ფელდმარშალი - სამხედრო წოდება, გენერლის უმაღლესი ჩინი

საყდარი - საეპისკოპოსო ტაძარი, ეკლესია

გოლოვინის პროსპექტი - დღევანდელი რუსთაველის გამზირი

პლაცმაიორი - სამხედრო წოდება

ჟანდარმი - პოლიტიკური პოლიციელი მეფის რუსეთში

საიუნკრო სასწავლებელი - სამხედრო სასწავლებელი

ამქარი - ხელოსან-ვაჭართა გაერთიანება

ეგზარქოსი - მართლმადიდებელთა ცალკე საეკლესიო ოლქის ან დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი.

მეფისნაცვალი - რუსეთის იმპერიის უმაღლესი მოხელე კავკასიაში 1844-1881, 1905-1917 წლებში.

ცარიზმი - სახელმწიფო მმართველობის ფორმა რევოლუციამდელ რუსეთში, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნოდა თვითმპყრობელ მეფეს.

[1] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php